

UDC 336.711.65

SCOPUS CODE 1401

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-1-54-62>

საბანკო რეგულირების ტრანსფორმაციაზე მოქმედი ფაქტორები და აუცილებლობა თანამედროვე პირობებში

გოგა გელიტაშვილი ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0192, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: g.gelitashvili@gtu.ge

რეცენზენტები:

გ. ცაავა, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: tsaavagiorgi11@gtu.ge

ნ. სამჩკუაშვილი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: n.samchkuashvili@seu.edu.ge

ანოტაცია. საკითხი, თუ რა ფაქტორები ახდენს გავლენას საბანკო რეგულირების ტრანსფორმაციის პროცესებზე, ისევე როგორც საბანკო რეგულირების ტრანსფორმაციის აუცილებლობა თანამედროვე პირობებში, დღემდე ნაკლებად არის შესწავლილი.

მარეგულირებლებსა და საბანკო სექტორს შორის ურთიერთობის ბუნების თაობაზე განიხილება ორი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრება: ერთ შემთხვევაში საუბარია იმაზე, რომ მარეგულირებლები დამოკიდებული არიან საბანკო სექტორზე და, შესაბამისად, ბანკებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მარეგულირებლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. მეორე შემთხვევაში მარეგულირებლები საბანკო სისტემას იყენებენ საკუთარი მიზნების მისაღწევად.

სტატიაში გაანალიზებულია ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს საბანკო რეგულირების ტრანსფორმაციაზე, დასაბუთებულია საბანკო რეგულირების ტრანსფორმაციის აუცილებლობა და შეთავაზებულია საბანკო ინსტიტუტების საქმიანობის ნორმატიული რეგულირების დიფერენცირების გაძლიერების აუცილებლობა მათი საქმიანობის მაჩვენებლებსა და რისკის ხარისხზე დაყრდნობით.

ძირითადი დებულებების შეჯამებისას უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო რეგულირების განვითარების აუცილებლობის დამადასტურებელი თეორიების ანალიზმა შესაძლებელი გახადა ტრანსფორმაციის პროცესებზე ყველაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე ძირითადი ფაქტორების შინაარსის გამოვლენა, სისტემატიზაცია და საბანკო რეგულირების ტრანსფორმაციის მნიშვნელობის გამოკვეთა.

საკვანძო სიტყვები: რეგულირება; რისკების მართვა; საბანკო რეგულირება; საბანკო ტექნოლოგიები; ტრანსფორმაცია.

შესავალი

საბანკო რეგულირების მოტივაცია (მარეგულირებელი გადაწყვეტილებების მიღების მიზეზები) შეიძლება დავახასიათოთ სამი ძირითადი კონცეფციით: საზოგადოებრივი ინტერესების თეორია, კერძო ინტერესების თეორია და მარეგულირებელი დიალექტიკის თეორია. ამ კონცეფციების შესაბამისად, საბანკო რეგულირების სფეროში გადაწყვეტილების მიღებისას მარეგულირებლები ითვალისწინებენ საზოგადოებრივ ინტერესებს, კერძო ინტერესებს ან რეაგირებენ საბანკო სექტორში არსებულ ვითარებაზე [9] [10].

როდესაც მარეგულირებლები მოქმედებენ საზოგადოებრივი ინტერესების თეორიის შესაბამისად, ისინი ითვალისწინებენ საზოგადოებრივ მიზნებს, მოქმედებენ ბაზრის არასრულყოფილების გამოსასწორებლად და ცდილობენ გაზარდონ საზოგადოებრივი კეთილდღეობა. საბანკო რეგულაციების თანამედროვე მდგომარეობა ეროვნულ და ზესახელმწიფოებრივ დონეზე უფრო მეტად პასუხობს საზოგადოებრივ ინტერესებს, რადგან მარეგულირებლები ცდილობენ შეამცირონ/თავიდან აიცილონ ბანკების მიერ ზედმეტი რისკის აღება და საბაზრო კრიზისების გამომწვევი სტიმულები, გააუმჯობესონ რისკების მართვის პროცედურები. (Young, 2013; Basel III: A global regulatory framework for more resilient banks and banking systems, 2011) [20], [2].

ბანკების ბალანსების არაგამჭვირვალობა, ბანკების ურთიერთდაკავშირებულობა და მაღალი ლევერიჯი მათ გაცილებით მაღალი ინდივიდუალური და სისტემური რისკის წინაშე აყენებს, ვიდრე არასაბანკო ორგანიზაციებს. ამ მხრივ, საბანკო საქმიანობის რეგულირება კრიტიკულად მნიშვნელოვანი ხდება საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისით, რათა თავიდან იქნეს აცილებული გადაჭარბებული რისკები, შენარჩუნდეს ფინანსური სისტემის სტაბილურობა და დაცული იქნეს მენაბრეთა ინტერესები [12].

საზოგადოებრივი ინტერესების თეორია ემყარება იმ აზრს, რომ რეგულირება უნდა არსებობდეს მხოლოდ ბაზრის არასრულყოფილების გამოსასწორებლად. კანონმდებლობის გაუმჯობესების პროცესში მხარეების ჩართულობა, მაგალითად, საჯარო კონსულტაციების გზით, ხელს უწყობს რეგულაციების ეფექტიანობის გაუმჯობესებას და მინიმუმამდე ამცირებს მარეგულირებლების მიერ არაოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების ალბათობას.

კერძო ინტერესების თეორია ვარაუდობს, რომ არსებობს პირთა ჯგუფი, რომლებიც სარგებლობენ მარეგულირებლის გადაწყვეტილებებით. ეს ფენომენი ეხება სიტუაციას, როდესაც საბანკო რეგულირება ექცევა იმ პირების კონტროლის ქვეშ, რომლებიც ხშირად წარმოადგენენ ზედამხედველობის ქვეშ მყოფი სუბიექტების ინტერესებს [18].

საბანკო რეგულირების ტრანსფორმაციის პროცესების პოსტკრიზისული ხედვა გამოირჩევა ახალი მიდგომებით, რომლებიც ავლენენ „რეგულირების ეკონომიკური თეორიის“ არსს [19]. უპირველეს ყოვლისა, რეგულირების პროცესი დიდწილად გადავიდა ზესახელმწიფოებრივ განზომილებაში, რაც

ართულებს ეროვნულ მარეგულირებლებზე გავლენას. იმავდროულად, კრიზისმა გაზარდა საბანკო რეგულირების მნიშვნელობა, რამაც ხელი შეუწყო დაინტერესებული ჯგუფების რაოდენობის ზრდას და იმ მხარეების აქტიურ ჩართულობას, რომლებიც მანამდე არ იღებდნენ რეგულირების პროცესში აქტიურ მონაწილეობას [15].

ალტერნატიული კონცეფცია, რომელიც ხსნის საბანკო რეგულირების ტრანსფორმაციის პროცესებს, არის მარეგულირებელი დიალექტიკის თეორია. მის თანახმად, მარეგულირებლები, პირველ რიგში, ადგენენ საქმიანობის რეგულირების წესებს. ხშირად, ამის საპასუხოდ, საბანკო ინსტიტუტები ცდილობენ გვერდი აუარონ რეგულაციებს ინოვაციების დანერგვით და ბაზრის არარეგულირებად სეგმენტებში საკუთარი საქმიანობის გაფართოებით. საბანკო ინსტიტუტები სარგებლობენ ნორმატიულ აქტებში არსებული ხარვეზებით, რასაც მარეგულირებლები პასუხობენ დამატებითი რეგულაციების შემუშავებითა და დანერგვით.

მარეგულირებელი დიალექტიკის თეორიის მიხედვით, საბანკო რეგულირების ტრანსფორმაცია არის პასუხი ბანკების ქცევაზე, კერძოდ მათ საქმიანობაში წარმოქმნილ რისკებზე. ასეთი მარეგულირებელი ტენდენციები განსაკუთრებით აშკარა გახდა 2007–2008 წლების ფინანსური კრიზისის და კოვიდ – 19 პანდემიის შემდეგ.

მარეგულირებელი დიალექტიკის პროცესის დადებითი მხარეა საბანკო სექტორში ინოვაციების განვითარება და რეგულირების სრულყოფა. თუმცა, ინოვაციების მუდმივი დანერგვა დაკავშირებულია

დამატებით ხარჯებთან როგორც მარეგულირებლებისთვის, საბანკო სექტორისთვის.

ძირითადი ნაწილი

რეგულირებაში არსებულმა ინოვაციებმა მიიღო რერეგულირების სახელწოდება, ანუ არსებული რეგულაციების ახალ პირობებთან შესაბამისობაში მოყვანა. რერეგულირება რეალურად არის ენდოგენური პროცესი, რომლის დროსაც მარეგულირებლები რეაგირებენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე. იგი გამოწვეულია დარგში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებებით, რაც განპირობებულია ბანკების მიერ არსებული შეზღუდვების გვერდის ავლის სურვილით. აღნიშნულმა შეიძლება მიიღოს სხვადასხვა სახე, მაგალითად რეგულირების მიღმა არსებულ ახალ ბაზრებზე შესვლა ან ინოვაციების დანერგვა და არსებული საქმიანობისთვის უკეთესი მარეგულირებელი გარემოს შექმნა. ასეთი ინოვაციების მაგალითები შეიძლება იყოს რეგულირებადი ბანკების ახალი ორგანიზაციული სტრუქტურები, ახალი ფინანსური პროდუქტების შეთავაზება, ფინანსური ინჟინერინგის გამოყენება ან ბანკების საქმიანობის სპექტრის გაფართოება.

ამრიგად, საბანკო რეგულირების ტრანსფორმაციის პროცესი განპირობებულია მარეგულირებელი ორგანოების მიერ იმ მიზნების მიღწევის მცდელობით, რომლებიც ასახულია საზოგადოებრივი ინტერესების, კერძო ინტერესების ან მარეგულირებელი დიალექტიკის თეორიის კონცეფციაში.

ამ საკითხზე თანამედროვე მკვლევართა მოსაზრებების სისტემატიზების შემდეგ, რაც დღემდე საკამათო საკითხია, მიზანშეწონილია გამოვყოთ შემდე-

გი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს საბანკო რეგულირების ტრანსფორმაციაზე და, იმავდროულად, ასაბუთებს მის აუცილებლობას [12]

- გაციფრულება ან ციფრული ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელება;
- ფინანსურ ბაზრებზე „ბუშტების“ არსებობა;
- კრედიტუნარო კლიენტების დაკრედიტება, ასევე პრობლემური სესხების არსებობა;
- ჩრდილოვანი საბანკო სექტორის არსებობა, რომლის დროსაც ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც ახორციელებენ იმავე მომსახურებას, რასაც ბანკები, ამა თუ იმ მიზეზით არ ექვემდებარებიან სტანდარტულ საბანკო რეგულირებას;
- ეკონომიკური განვითარების ტემპების შემცირება, ასევე ინვესტიციების შემცირება;
- დემოგრაფიული ტენდენციები, რომლებიც გამოიხატება არა მხოლოდ მოსახლეობის ზრდასა ან შემცირებაში, არამედ მისი საჭიროებების სტრუქტურის ცვლილებაში და ახალი სამომხმარებლო ჩვევების ჩამოყალიბებაში.

მსოფლიო საბანკო სისტემა კვლავ ხასიათდება განვითარების ციკლურობით, რისკების არასრულყოფილი მართვით, კრიზისული პროცესების იდენტიფიცირების შეუძლებლობით და მათი პრევენციის არადროულობით. ბანკების განვითარების ამ ხელშემშლელი ნეგატიური მოვლენების და სუსტი მხარეების აღმოფხვრა და საბანკო სექტორის მიმართ ნდობის გაზრდა ზოგადად თანამედროვე ეკონომიკის და, კერძოდ, საბანკო რეგულირების აქტუალურ ამოცანად გვევლინება [11].

ზემოაღნიშნული მოითხოვს საბანკო სექტორში პრევენციული მარეგულირებელი ღონისძიებების გატარებას. ცვალებად ეკონომიკურ გარემოში, ციფ-

რული ტექნოლოგიების გავლენისა და ეკონომიკური განვითარების არასტაბილურობის ფონზე, ფუნდამენტურ ფაქტორებად ყალიბდება ახალი მარეგულირებელი სტრატეგიების აგება და თავად საბანკო საქმიანობის უფრო ეფექტიანი ორგანიზაცია.

ეკონომიკაში ჩამოყალიბებული ახალი რეალიები დიდ გავლენას ახდენს საბანკო საქმიანობაზე. სტრატეგიული არჩევანის და ბიზნესის განვითარების ახალი პრიორიტეტული მოდელების ძიების მნიშვნელობა კიდევ მეტად იზრდება. უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიების გამოყენებით ბანკებს შეუძლიათ შეამცირონ ხარჯები და გაზარდონ შემოსავალი, ხოლო მომხმარებლებს - მიიღონ საბანკო მომსახურება და პროდუქტები უკეთესი პირობებით.

ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი გავრცელება რადიკალურად ცვლის საბანკო მომსახურების სფეროს. მაგალითად, ამჟამად ბანკების მომხმარებელთა 60%-ზე მეტი იყენებს სმარტფონებს, როგორც უპირატეს მეთოდს საბანკო სერვისების მისაღებად და საბანკო ოპერაციების განსახორციელებლად [14]. აღნიშნული გულისხმობს არა მხოლოდ საბანკო ბიზნესმოდელების ტრანსფორმაციას, არამედ მარეგულირებელი და ზედამხედველი ორგანოებისთვის ახალი გამოწვევების გაჩენას.

მკვლევრები ცდილობენ შეისწავლონ საბანკო სექტორში ტექნოლოგიების გავლენით მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები და მათი სისტემური შედეგები. დადგენილია, რომ ფუნდამენტური ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ფინანსურ სტაბილურობაზე, არის ის, რომ დიგიტალიზაცია იწვევს არამატერიალური კაპიტალის უზარმაზარ დაგროვებას, რაც პოტენციურად ქმნის ფინანსური არასტაბილურობის რისკებს.

საბანკო სექტორში ტექნოლოგიური სიახლეები ძირითადად თავს იყრის ე.წ. ფინტექ კომპანიების გარშემო. ინოვაციებმა შეიძლება მოშალოს არსებული დარგობრივი სტრუქტურები და საზღვრები. ერთი მხრივ, ამ ცვლილებებმა შესაძლებელია უფრო ხელმისაწვდომი გახადოს ფინანსური სერვისები, მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი ქმნიან მნიშვნელოვან პრობლემებს რეგულირებისა და ზედამხედველობის კუთხით.

ფინანსურ სექტორში ახალი ტექნოლოგიების დაწერგვასთან დაკავშირებული სტრუქტურული ცვლილებები კონკურენტული გარემოს ცვლილებების პარალელურად ხდება. ტექნოლოგიური და კონკურენტული ცვლილებების კომპლექსური კომბინაციის ადეკვატურად მართვა შესაძლებელია მხოლოდ ფინანსური საქმიანობის თანამედროვე თავისებურებების სათანადოდ გათვალისწინების შემთხვევაში. დიგიტალიზაციასთან და ფინტექთან დაკავშირებული ბევრი ინოვაცია არ შეიძლება განიხილებოდეს რეგულირების ტრადიციული მიდგომების პრიზმაში, სადაც სექტორის ყველა სუბიექტი ექვემდებარება ერთნაირ მოთხოვნებს. ამის მიზეზია ის, რომ საქმიანობის, პროდუქტისა და მომსახურების ბევრ ახალ სახეს აქვს ძალზე განსხვავებული ბიზნესმოდელები და ურთიერთქმედება მომხმარებლებთან, ასევე იყენებენ განსხვავებულ ინფრასტრუქტურას. მარეგულირებლები ყურადღებით უნდა აკვირდებოდნენ ამ ტექნოლოგიურ პრობლემებს და შეიმუშაონ შესაბამისი რეგულაციები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ითვალისწინებს აღნიშნულ სიახლეებს.

ბანკებს შეუძლიათ ახალ ფინტექ კომპანიებთან ურთიერთობა სხვადასხვა გზით, როგორც მათთან კონკურენციით, ისე თანამშრომლობით. ამრიგად, ბანკებს, ერთი მხრივ, შეუძლიათ საკუთარი მეთოდების წინ წაწევა და კლიენტზე ორიენტირებულ მიდგომაზე დაფუძნებული ინოვაციების დანერგვა, მეორე მხრივ, საკუთარი ბიზნესმოდელის ეფექტიანობის გაზრდა, ახალი მომგებიანი მიმართულებების ძიება ფინტექ კომპანიებთან თანამშრომლობისა და მომხმარებელთა მოთხოვნებისადმი ადაპტაციის საფუძველზე [1].

ამ შემთხვევაში საბანკო რეგულირების ტრანსფორმაციის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ მარეგულირებლებმა უნდა შეამოწმონ, იძლევა თუ არა მარეგულირებელი ჩარჩო ასეთი ურთიერთქმედების შესაძლებლობებს და ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად საჭირო ინსტრუმენტებს.

ამკარაა, რომ დიგიტალიზაციის სფეროში ცვლილებები შეინიშნება უკვე რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე მათი გავლენა, გავრცელებისა და ცვლილებების სიჩქარე უფრო მეტად გაიზარდა. როგორც სხვა დარგებში, საბანკო სექტორშიც იგი იწვევს კონკურენტული სტრუქტურის ტრანსფორმაციას ფინტექ ინდუსტრიის ახალი მონაწილეების გამოჩენის გამო. აღნიშნული ცვლილებები ასევე იწვევს კლიენტებთან ურთიერთობის საბანკო არხების, თანამშრომელთა კვალიფიკაციისადმი მოთხოვნების და ახალ პირობებში მუშაობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ტრანსფორმაციას [1].

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს და ასაბუთებს საბანკო რეგულირების ტრანსფორმაციის აუცილებლობას, არის ჩრდილოვანი საბანკო სექტორის ფუნქციონირება. მკვლევართა უმეტესობა თანხმდება, რომ ჩრდილოვანი ბანკინგის ზრდა ძირითადად განპირობებული იყო ე.წ. მარეგულირებელი არბიტრაჟის არსებობით. ტრადიციული ბანკები ვალდებული არიან დააკმაყოფილონ კაპიტალის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, რომლებიც ადგენს მათი ლევერიჯის ზედა ზღვარს. ჩრდილოვანმა საბანკო სისტემამ შესაძლებელი გახადა საბანკო აქტივების რეფინანსირება „კვაზი ფულის“ გამოყენებით. შედეგად, ჩრდილოვანი საბანკო სისტემის ზრდამ მნიშვნელოვნად გაზარდა ეფექტური ლევერიჯი და, კერძოდ, სესხებით უზრუნველყოფილი ფულადი ვალდებულებების მოცულობა. [5]

მარეგულირებელი ორგანოების მცდელობები მინიმუმამდე დაიყვანონ მარეგულირებელი არბიტრაჟი, რომელიც კლასიკურ ბანკებს ჩრდილოვან სექტორში გადასვლის მოტივაციას უღვივებს, საბანკო რეგულირების ტრანსფორმაციის აუცილებლობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მაგალითისათვის, ფრანგმა ეკონომისტმა გ. პლანტენმა ორი შესაძლო გამოსავალი იპოვა, რომელიც, მისი აზრით, მინიმუმამდე დაიყვანს მარეგულირებელ არბიტრაჟს [16]. პირველ რიგში, მარეგულირებელს შეუძლია გაამკაცროს კაპიტალის მიმართ მოთხოვნები, რაც გამოიწვევს ჩრდილოვანი საბანკო საქმიანობის გააქტიურებას და დანარჩენ ბანკებს უფრო უსაფრთხოს გახდის მენაზრისთვის. მეორეც, მარეგულირებელს შეუძლია შეამსუბუქოს კაპიტალის მიმართ მოთხოვნები, რათა ჩრდილოვანი სა-

ბანკო საქმიანობა მარეგულირებლის იურისდიქციაში მოაქციოს.

მიმდინარე მარეგულირებელი რეფორმები, ჩვენი აზრით, უფრო შეესაბამება პირველ ვარიანტს, თუმცა, მომხმარებელთა ინტერესების და კონკურენციის გაზრდილი დონის გათვალისწინებით, მეორე მეთოდის გამოყენებაც აქტუალური ხდება.

ამრიგად, ჩრდილოვანი ბანკინგი ტრადიციული ბანკებისთვის არა მხოლოდ კონკურენტია (ვინაიდან წარმოადგენს მათი ბიზნესმოდელების შეცვლის კატალიზატორს), არამედ რადგან ნაკლებად ექვემდებარება რეგულირებას, იწვევს ეკონომიკური არასტაბილურობის რისკების წარმოქმნას.

დასკვნა

ვინაიდან მარეგულირებლები აცნობიერებენ საბანკო რეგულირების შემდგომი ტრანსფორმაციის აუცილებლობას და ცდილობენ შეზღუდონ ახალი რისკების გამოვლენა, ზრდიან მოთხოვნებს საბანკო კაპიტალის მიმართ, რითაც ხელს უწყობენ სისტემური რისკების რეგულირებას და სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების მდგრადობას. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით აქტუალური ხდება მიდგომა საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის ნორმატიული რეგულირების დიფერენცირების გაძლიერების აუცილებლობის შესახებ მათი საქმიანობის სხვადასხვა მაჩვენებელსა და რისკის ხარისხზე დაყრდნობით, რომელიც სულ უფრო პოპულარული ხდება.

საბანკო რეგულირების ტრანსფორმაციაზე ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ციფრულ ეკონომიკაზე გადასვლა, რომელიც ხშირად არ არის

აღჭურვილი ადეკვატური საკანონმდებლო მხარდაჭერით. ცხადია, რომ მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით ბანკებს შეუძლიათ შეამცირონ ხარჯები და გაზარდონ შემოსავლები. ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიები მიმზიდველია კლიენტისთვის, რომელიც მათი გამოყენებით ხშირად უფრო მეტ უპირატესობას იღებს, ვიდრე ადრე.

ექვგარეშეა, რომ საბანკო ტექნოლოგიების სტრატეგიულ განვითარებას შეუძლია დადებითი გავლენა მოახდინოს საბანკო პროდუქტებისა და სერვისების განვითარებაზე. უნდა ვაღიაროთ, რომ დიגיტალიზაციისა და ციფრული ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელების პირობებში, ნებისმიერი კომპანიის შესვლა საბანკო ბაზარზე ართულებს საბანკო რეგულირებას, რაც ბანკების სანდოობისა და მდგრადობისთვის შეიძლება საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს [13].

იმავედროულად, საბანკო ბიზნესმოდელების ტრანსფორმაცია სამართლიანად იწვევს საბანკო რეგულირების ტრანსფორმაციას. არ არის გამორიცხული, რომ თანამედროვე რეგულირების სისტემის

ხარვეზები დაკავშირებული იყოს ზუსტად იმასთან, რომ მარეგულირებლის მიერ დადგენილი ნორმები საკმარისად არ არის დასაბუთებული და სრულად არ ითვალისწინებს საბანკო პრაქტიკაში ჩამოყალიბებულ ობიექტურ გარემოებებს და მიმდინარე ტენდენციებს.

ჩვენი აზრით, როგორც ფუნქციური, ისე ინსტიტუციური რეგულირების გაუმჯობესებას თან უნდა ახლდეს მნიშვნელოვანი ცვლილებები მარეგულირებლის საქმიანობაში. მიზანშეწონილია ბანკების ადაპტაციური შესაძლებლობების შემდგომი განვითარება რისკ-მენეჯმენტის გაუმჯობესების პარალელურად და მარეგულირებლის ძალისხმევის ფოკუსირება ბანკების არა მხოლოდ რისკების მართვის რეგულირებაზე, არამედ მათ დახმარებაზე ადაპტაციური შესაძლებლობების განვითარების კუთხით. ამრიგად, სულ უფრო მზარდი გაურკვევლობის პირობებში საბანკო რეგულირება და ზედამხედველობა უნდა იყოს როგორც რისკებზე ორიენტირებული, ისე ადაპტურიც.

ლიტერატურა

1. Abutidze, G., & Gelitashvili, G. (2023). *Functioning of the banking system in an unstable economic environment. Monograph*. Tbilisi: Technical University. (In Georgian);
2. Basel Committee on Banking Supervision. (2011). *Basel III: A global regulatory framework for more resilient banks and banking systems.*;
3. Chelidze, M. (08/2023). *Georgia's Finance-Banking Sector in the Modern Global World (Volume 1). Collective monograph*. LAP LAMBERT Academic Publishing.;
4. Chelidze, M., & Topchishvili, M. (2018). The Role of Financial Technologies in the Development of the Banking Sector. *Globalization and Business*, 5, 246-249 (In Georgian);
5. Dvoretzkaya, A. (2013). Shadow banking: institutional and functional regulation. *Money and Credit*. № 4, 13–19 (In Russian);

6. Gelitashvili, G., Burdiashvili, R., & Chelidze, M. (2023). Discussion Issues on the Essence of Banking Regulation and Supervision. *Economics*, 105(3-4), 122-133. (In Georgian);
7. Gelitashvili, G., Chelidze, M., & Mosiashvili, V. (2023). Banking Regulation and Supervision from the 2007-2009 Global Financial Crisis to the Coronavirus Pandemic: Lessons and Consequences. *Economics and Finance*, 3, 98-112 (In Georgian);
8. Gelitashvili, G., Kurashvili, G., & Chelidze, M. (04/2023). Modern aspects of banking regulation and supervision. *International Multidisciplinary Scientific Conference «Modern World is Facing New Challenges»*, (pp. 69-75). Larnaca, Cyprus (In Georgian);
9. Kara, G. (2016). *Explaining cross-country and over-time differences in bank capital regulations // Finance and Economics Discussion Series 2016-057*. Washington: Board of Governors of the Federal Reserve System.;
10. Kroszner, R. S. (1999). What drives deregulation? Economics and politics of the relaxation of bank branching restrictions. *The Quarterly Journal of Economics*, 114(4), 1437–1467.;
11. Lavrushin, O. (2017). Risks of banking technologies and the appearance of the bank. *Banking Law*, 4, 33-35. (In Russian);
12. Lavrushin, O. (2018). On the modernization of regulation and new models of development of banking activities. *Economics. Taxes. Right*, 3, 14-19. (In Russian);
13. Lavrushin, O. (2019). A look at the transformation of financial markets and financial systems in the digital economy. *Banking*, 12, 58–64 (In Russian);
14. Locke, C. (2013). *The irresistible rise of digital banking*. Retrieved from Banking Technology: URL: <https://www.fintechfutures.com/2013/01/the-irresistible-rise-of-digital-banking/>
15. Pagliari, S. (2012). *Who mobilizes? An analysis of stakeholder responses to financial policy consultations // Making Good Financial Regulation – Towards a Policy Response to Regulatory Capture*. London : International Centre for Financial Regulation, 85-98.;
16. Plantin, G. (2014). Shadow Banking and Bank Capital Regulation . *The Review of Financial Studies*, 28, 146–175.;
17. Santos, J. (2000). Bank capital regulation in contemporary banking theory: A review of the literature. *BIS Working Papers*, 90.;
18. Stigler, G. (1971). The theory of economic regulation. *Bell Journal of Economics and Management Science*, 2(1), 3-21.;
19. Young, K. (2012). Transnational regulatory capture? An empirical examination of the transnational lobbying of the Basel Committee on Banking Supervision. *Review of International Political Economy*, №19(4), 663-688.;
20. Young, K. (2013). Financial industry groups' adaptation to the post-crisis regulatory environment: Changing approaches to the policy cycle. *Regulation & Governance*, 7, 460–480.

UDC 336.711.65

SCOPUS CODE 1401

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-1-54-62>

Factors Influencing the Transformation of Banking Regulation and its Necessity in Modern Conditions

Goga Gelitashvili

Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.

E-mail: g.gelitashvili@gtu.ge

Reviewers:

G. Tsaava, Professor, Faculty of Business Technologies, GTU

E-mail: tsaavagiorgi11@gtu.ge

N. Samchkuashvili, Associate Professor, Faculty of Business and Technologies, Georgian State University

E-mail: n.samchkuashvili@seu.edu.ge

Abstract. The question of what factors influence the processes of transformation of banking regulation, as well as the need to transform banking regulation in modern conditions, has been little studied to date.

There are two opposing views about the nature of the relationship between regulators and the banking sector: one is that regulators are dependent on the banking sector and that banks can influence the decisions made by the regulator. In the second case, regulators use the banking system to achieve their own goals.

The factors influencing the transformation of banking regulation are analyzed, the need for transformation of banking regulation is substantiated and the need to strengthen the differentiation of regulatory regulation of banking institutions based on various indicators of their activities and the degree of risk is proposed.

Summarizing the main provisions, it should be noted that the analysis of theories confirming the need for the development of banking regulation made it possible to reveal the content and systematize the main factors that have the most significant impact on transformation processes, and highlight the significance of the transformation of banking regulation.

Keywords: banking regulation; banking technologies; reregulation; risk management; transformation.

განხილვის თარიღი 18.12.2023

შემოსვლის თარიღი 19.12.2023

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.03.2024